გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 142

2025 წლის 10 ოქტომბერი
ქალაქი გორი

გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ

საკრებულოში შემოსულია მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის კონსტანტინე ბუზალაძის ინიციატივა, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალუბანში არსებული უსახელო ქუჩის, რომლის - სიგრძეა 2469 მ, კოორდინატები: საწყისი X - 431361.6789 Y - 4663101.974 საბოლოო X - 432194.9858 Y - 4665384.248, რომელსაც ჩრდილოეთით ესაზღვრება #1 ქუჩა, სამხრეთით - #7 ქუჩა, ქართველი მხატვრის, საზოგადო მოღვაწის ნიკო ფიროსმანის სახელის მინიჭების თაობაზე.

გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2025 წლის 08 სექტემბრის N48 სხდომის ოქმით მიღებული თანხმობით „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, შესაბამისად:

1. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალუბანში არსებული უსახელო ქუჩას ეწოდოს ნიკო ფიროსმანის სახელი.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**